ოქმი №7

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეშვიდე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 26 ივლისი, 17 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
კომისიის სამუშაო ოთახი, N401 (საკრებულოს სხდომათა დარბაზი)
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ზ.მამასახლისი, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, ე.არჩაია, მ.სიმონიძე, პ.ლილუაშვილი, ი.შენგელია, ჯ.ბიბილეიშვილი.**

სულ: კომისიის 10 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, გ.კილაძე, კ.გურული, გ.მანაგაძე, ბ. ბრეგაძე, დ.ფხაკაძე, რ.ქვაჩაკიძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

   /ბ.მახარაძე/

2. ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”

   /ბ.მახარაძე, ზ.ბურჯანაძე/

3. ა(ა)იპ „ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”

   /ბ.მახარაძე, მ.ნადარეიშვილი/

4. შპს "ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”

   /ბ.მახარაძე, ნ.ჩალაძე/

5. შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"

/ზ.მახარაძე, თ.კიკვიძე/

6. შპს "საფეხბურთო კლუბ „მართვეს" მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"

/ზ.მახარაძე, ნ.ჯანელიძე/

7. ა(ა)იპ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი -2015"-ის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"

/ზ.მახარაძე, ზ.ყაველაშვილი/

8. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული საკითხები დაგზავნილი იყო და ალბათ გაეცანით. ამიტომ ისინი თანმიმდევრობით განვიხილოთ.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „მინდა მოსაზრება გაგიზიაროთ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ სტრუქტურული ერთეულების ნაწილმა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე წარმოადგინეს თავიანთი ანგარიშები და გამოდის, რომ ხელახლა უნდა მოვისმინოთ. იქნებ შევთანხმდეთ და გაერთიანებული სხდომები ჩავნიშნოთ, რომ არც ჩვენ მოვცდეთ ზედმეტად და ეს ადამიანებიც არ მოვაცდინოთ".

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „შეიძლება ამ საკითხის განხილვა ქალბატონო მაია. თუმცა, კომისიას აქვს თავისი მუშაობის გაწერილი გრაფიკი და იმით ვხელმძღვანელობთ. მე მაგალითად არ ვარ ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი და ანგარიშიც არ მაქვს მოსმენილი".

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „შეიძლება ამ საკითხზე იყოს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგადად, კომისიის მუშაობის გეგმა-გრაფიკი დამტკიცებულია კომისიის სხდომაზე და შესაბამისად მიყვება ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ შეხვედრებს. ამიტომ უპრიანი იქნება სრულად მოვისმინოთ პირველი საკითხი".

1. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის **ზ.მახარაძის** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ (მასალა თან ერთვის, 4 ფურცლად).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „მინდა მადლობა გადავუხადო კომისიის თავმჯდომარეებს (ბატონ ამირანს, რომელიც თავიდან იყო და ბატონ ბექას) გაწეული მუშაობისათვის. ჩვენ გვქონდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, აუდიტის დასკვნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ, რომელზეც კომისიამ იმუშავა. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა ამ საკითხზე და როცა იგი დასრულდება, ჩვენ მას კვლავ დავუბრუნდებით. გვსურს სექტემბრის დასაწყისში მოვაწყოთ საკრებულოს ანგარიში ფართო საზოგადოების ჩართულობით. გისურვებთ წარმატებებს".

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ მის წარდგენას საკრებულოს სხდომაზე".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.
დაადგინეს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

2. **მოისმინეს:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის" დირექტორის ქ-ნ **ზ.ბურჯანაძის** ინფორმაცია ააიპ-ის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ (მასალა თან ერთვის). მან აღნიშნა: „შევეცდები ძირითადად ფინანსურ მაჩვენებლებს შევეხო. 2021 წლის ასიგნებათა გეგმა იყო 943 ათასი ლარი, რომელიც ავითვისეთ. მნიშვნელოვანია, რო დარბაზების კონდიცირება-ვენტილაცია გავაკეთეთ, რომელიც მთლიანად 47,5 ათასი ლარი დაჯდა. ასევე შევიძინეთ გამაძლიერებელი აპარატურა, 29,7 ათას ლარად. ამით მივაღწევთ სრულ გახმოვანებას და ქირის გადახდა აღარ დაგვჭირდება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისას. დაგეგმილი გვაქვს სარდაფის და ელექტროგაყვანილობის სრული შეცვლა, რაც 15,2 ათასი ლარი დაგვიჯდება".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „საშუალო ხელფასი რამდენია თანამშრომლის?"

ზ.ბურჯანაძე: „მაქსიმალური ხელფასი 900 ლარია, საშუალო 400 ლარი"

კომისიის წევრი **ა.კოპალეიშვილი:** „რამდენია წლევანდელი ბიუჯეტით თქვენი სახელფასო ფონდი?"

ზ.ბურჯანაძე: „სახელფასო ფონდი 993,5 ათასი ლარია"

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „მოცეკვავეთა სამოსზე თანხები არ გჭირდებათ?"

ზ.ბურჯანაძე: „სამოსი ძალიან ძვირია. გაგვიმართლა და შევიძინეთ პანდემიამდე".

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „კონცერტებს თუ ატარებთ საზღვარგარეთ და თანხა თუ შემოდის?"

ზ.ბურჯანაძე: „პანდემიამ ძალიან შეგვაფერხა. ჩაგვივარდა დაგეგმილი კონცერტები უკრაინასა და შვეიცარიაში".

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „ანსამბლის მნიშვნელობიდან და გაწეული აქტივობებიდან გამომდინარე, მომავალი წლის ბიუჯეტში ზრდა გავითვალისწინოთ“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „მე დავრწმუნდი, რომ ასეთი დეტალური განხილვა კომისიაზე საჭირო ყოფილა და უკან მიმაქვს ჩემი მოსაზრების დიდი ნაწილი, რაც სხდომის დასაწყისში მოგახსენეთ“.

კომისიის წევრი **გ.ბასილაძე:** „მიმაჩნია, რომ გაწეული შრომა უნდა დაფასდეს. ქალბატონი ზეინაბი დაუღალავი ხელმძღვანელია და დაფასება ეკუთვნის. არ უნდა ქონდეთ ელემენტარულის დაფინანსების პრობლემა“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „მეც ვუერთდები ამ განწყობებს და ვთვლი, რომ ეს დაწესებულება ერთ-ერთი სამაგალითოა ქალაქში და მხარი უნდა დავუჭიროთ. თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

3. **მოისმინეს:** ა(ა)იპ „ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელის მ.ნადარეიშვილის ინფორმაცია ცენტრის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მან აღნიშნა: ააიპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დაზუსტებული ბიუჯეტი 2021 წელს შეადგენდა 266 800 ლარს, რომლიდანაც ათვისებულია 259 893 ლარი. 2021 წლის განმავლობაში ცენტრმა საკუთარი შემოსავლების სახით მიიღო 107 961 ლარი: სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისგან „ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მიღებულია 26 540 ლარი; „ახალი კორონავირუსის მართვის პროგრამის“ ფარგლებში - 74 490 ლარი; „ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის“ მალარიის პრევენციის კომპონენტის ფარგლებში მიღებულია 784 ლარი; გარდა ამისა ცენტრს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ალიანსთან“, რომლის შესაბამისად ცენტრის თანამშრომელი ახორციელებს თამბაქოს მოხმარებისა და რეალიზაციის მონიტორინგს. აღნიშნული ხელშეკრულებით მიღებულია 3 600 ლარი. მიღებული თანხების მიზნობრიობა გაწერილია შესაბამის ხელეკრულებებში, რომელთა შესაბამისად აღნიშნული თანხებიდან 7 066 ლარით შეძენილია სამედიცინო დამცავი საშუალებები (ნიღბები, ხელთათმანები, ერთჯერადი ხალათები და ა.შ.), ხოლო დანარჩენი თანხა გაცემულია ხელფასის სახით ცენტრის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ამ პროგრამების განხორციელებაში.

ცენტრის დაფინანსება 2022 წელს შეადგენს 297 000 ლარს, რომლიდანაც 30 ივნისის მდგომარეობით ათვისებულია 144 389 ლარი. 2022 წლის 6 თვეში ცენტრმა საკუთარი შემოსავლების სახით მიიღო 32 998 ლარი. აქედან, სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისგან „ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში მიღებულია 7748 ლარი; გარდა ამისა ცენტრს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ალიანსთან", რომლის შესაბამისად ცენტრის თანამშრომელი ახორციელებს თამბაქოს მოხმარებისა და რეალიზაციის მონიტორინგს. აღნიშნული ხელშეკრულებით მიღებულია 1800 ლარი. მიღებული თანხები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაცემულია ხელფასის სახით ცენტრის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ჩართული არიან ამ პროგრამების განხორციელებაში. ცენტრის მიერ „ახალი კორონავირუსის მართვის პროგრამის" ფარგლებში მიღებულია 23 450 ლარი. აღნიშნული თანხებიდან 20 715 ლარი გაცემულია ხელფასის სახით ცენტრის იმ თანამშრომელებზე, რომლებიც ჩართული არიან ამ პროგრამების განხორციელებაში, ასევე შეძენილია 731 ლარის ღირებულების სამედიცინო აღჭურვილობა (სამედიცინო ნიღბები და სახის დამცავი ფარები) (მასალა თან ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე:** „როგორც მახსოვს, ტრანსპორტირების პრობლემა გქონდათ"
მ.ნადარეიშვილი: „დიახ, ახლაც დაქირავებული ავტომობილით ვსაქმიანობთ".
კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „რამდენია დაფინანსება ჩვენი ბიუჯეტიდან?"
მ.ნადარეიშვილი: „მთლიანი დაფინანსების დაახლოებით ნახევარი"

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „მინდა მადლობა გადავუხადო ცენტრის ხელმძღვანელს და მის თანამშრომლებს კოვიდ-19 რთულ პერიოდში გაწეული თავდადებული მუშაობისათვის. თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ ა(ა)იპ „ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: ა(ა)იპ „ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

4. **მოისმინეს:** შპს "ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის" ხელმძღვანელის, **ნ.ჩალაძის** ინფორმაცია პოლიკლინიკის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ". მან აღნიშნა: „2021 წელი დავამთავრეთ დიდი მოგებით, რომელმაც 241,4 ათასი ლარი შეადგინა. აქედანაც ჩანს,

რომ ქალაქის მიერ ჩადებული ძალისხმევა პოზიტიურად დაგვიბრუნდა. ცხადია, ეს შესაძლებელი გახდა კოვიდ-19 პანდემიის გამო, როცა მაღალი იყო მოთხოვნა ჩვენს მომსახურებაზე. ჩვენმა პერსონალმა უდიდესი მუშაობა გაწია ამ პერიოდში. სულ 2021 წელს ფულადი ნაკადების შემოდინებამ შეადგინა 1772,5 ათასი ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 1300,2 ათასი ლარი".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „რამდენი ბენეფიციარი გერიცხებათ ახლა?"

ნ.ჩალაძე: „თავიდან, როცა დავიწყეთ გვყავდა 25 ათასი. ჩვენი შრომისა და ძალისხმევის შედეგად ავედით 35 ათასზე".

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „რამდენია ექიმისა და ექთნის ხელფასები?"

ნ.ჩალაძე: „ექიმის ხელფასი 1000-1500 ლარია. ექთნის სარგო 300-400 ლარი. ეს ძალიან მცირეა, თუმცა ემატება პროგრამებში მონაწილეობა".

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „პოლიკლინიკურ სექტორში არ დგას მედდების პრობლემა ისე, როგორც ჰოსპიტალურ სექტორში. რეალურად პირველადმა ჯანდაცვამ დაგვანახა პანდემიის პერიოდში ამის საჭიროება. ისინი იყვნენ ძირითადი პროცესების წარმმართველები. როდესაც მუნიციპალურ სერვისებს ვაუმჯობესებთ, კიდევ უფრო ახალი სერვისები უნდა შევთავაზოთ, რასაც ჩვენგან მხარდაჭერა დაჭირდება. უნდა შევიმუშაოთ წინადადება მოგების ნაწილობრივ გამოყენების შესახებ, ასევე სულხან-საბას ფილიალში ახალი მომსახურებები უნდა შევთავაზოთ".

ნ.ჩალაძე: „მინდა თქვენი მხარდაჭერა იმ საკითხში, რაც შეიძლება იყოს დაკავშირებული ჩვენი გამოუყენებელი ფართის ათვისებასთან, რომელიც შეიძლება ახალ სერვისებს დაუკავშირდეს. მე შემიძლია ეს პროექტი წარმოვადგინო. ასევე, სასურველი იქნება თქვენი დაზღვევის პროვაიდერი ექიმი ჩვენთანაც იყოს".

კომისიის წევრი **ა.კოპალეიშვილი:** „ჩვენ შეგვიძლია მხარდაჭერა გამოვხატოთ ბენეფიციარების მოზიდვის საქმეში, ჩვენი სამაჟორიტარო უბნების მიხედვით".

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „მინდა მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისათვის პოლიკლინიკის ხელმძღვანელს და მთელს კოლექტივს, რომლებმაც დიდი ძალისხმევა გასწიეს კოვიდინფექციის გავრცელების პირობებში ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისათვის. თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ შპს "ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: შპს "ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

5. **მოისმინეს:** შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" შესყიდვების მენეჯერის **ლ.ლიპარტელიანის** ინფორმაცია შპს-ის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ

პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ (მასალა ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **ა.კოპალეიშვილი:** „რა თანხა ჯდება ამჟამად მიმდინარე რეაბილიტაცია?“

ლ.ლიპარტელიანი: „სრული თანხა 11 მლნ. ლარს შეადგენს. მინდორს ვინარჩუნებთ, რომელიც 3 წლის წინ გაკეთდა“.

კომისიის წევრი **ჯ.ბიბილეიშვილი:** „ვინ აფინანსებს სამუშაოებს და როდის დასრულდება?“

ლ.ლიპარტელიანი: „სამუშაოებს აფინანსებს რგფ და 2023 წლის მაისში დასრულდება“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

6. **მოისმინეს:** შპს "საფეხბურთო კლუბ „მართვეს“ ფინანსური მენეჯერის, ვ.სილაგაძის ინფორმაცია შპს-ის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მან აღნიშნა: „ფუტსალში ქვედა ლიგაში ჩამოვინაცვლეთ. ძირითადი თანხა მიმართულია ხელფასებზე და მივლინებებზე. ფუტსალის ძირითადი ღონისძიებები თბილისში ტარდება. ქალთა გუნდის ვალდებულება ევროპული სტანდარტია და აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, ისე არ მოგვცემენ ევროლიცენზიას“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ შპს "საფეხბურთო კლუბ „მართვეს“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: შპს "საფეხბურთო კლუბ „მართვეს“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

7. **მოისმინეს:** ა(ა)იპ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი -2015“-ის ხელმძღვანელის **ზ. ყაველაშვილის** ინფორმაცია კლუბის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში

გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მან აღნიშნა: „წლევანდელი წელი მნიშვნელოვანია, რადგან პირველად გავხდით ჩემპიონები. ჩვენი ძირითადი დაფინანსება ხელფასებისთვისაა განკუთვნილი. ადგილობრივის გარდა გვყავს ლეგიონერები ფოთიდან და თბილისიდან“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **ჯ.ბიბილეიშვილი:** „რამდენია მოთამაშის საშუალო ხელფასი?“

ზ. ყაველაშვილი: „საშუალო ხელფასი 600-700 ლარია. ლეგიონერებს, რომლებიც საქართველოს ნაკრების წევრები არიან, 1500 ლარს ვუხდით“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ ა(ა)იპ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი -2015“-ის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: ა(ა)იპ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი -2015“-ის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ამით, საკრებულოს კომისიის მეშვიდე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**